ხელშეკრულება №20
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (CPV50800000; 50850000 - ავეჯის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „2“ თებერვალი 2023 წ. თბილისი.

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ქინქლაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
საბანკო რეკვიზიტები: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“; ბ/კოდი: TRESGE22; ა/ა: GE24NB0330100200165022

და მეორეს მხრივ **შპს „ევროსტილ ჯორჯია“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად ბექაურის სახით,
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მასივი, III მ/რ, კორპუსი 2, ბინა 3
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის №164
საიდენტიფიკაციო კოდი: 400221728
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE64BG0000000037226900
შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი
2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფასების ცხრილში (დანართი N1) მითითებული ავეჯის შეკეთება და რესტავრაცია (შემდგომში „მომსახურება“).
2.2. ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:
ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) ფასების ცხრილი (დანართი N1).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების ფასების ცხრილის (დანართი N1) შესაბამისად და შეადგენს: **4600 (ოთხი ათას ექვსასი) ლარს.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები
მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 5. მომსახურების ხარისხი და გარანტია
5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შესაბამისი შემსყიდველის მოთხოვნებთან.
5.2. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 12 (თორმეტი) თვეს.
5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას იგი საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. მომსახურება, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, 10 სამუშაო დღის ვადაში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან დაკავშირებული და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება ასევე შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით ან სხვა სტიქიური უბედურებით;

10.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესაბამისად, შეცვალონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების პირობები, სრულად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

11.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

11.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას;

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

13.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულებების 10%-ის ოდენობით.

13.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.5. თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.
13.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებლისთვის ჩასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით.
13.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 14. გადასახადები და ბაჟები
მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა
17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
გ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების 10 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი);
დ) მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში.
17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავათა განხილვის წესი
მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. დამატებითი პირობები
19.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
19.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
19.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
19.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).
მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
დავით ქინქლაძე _____	**ზვიად ბექაური** _____
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
Digitally signed by STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
Date: 2023.02.02 15:21:27 +04'00'

Zviad Bekauri 01002000403
Digitally signed by Zviad Bekauri
Date: 2023.02.02 15:07:13

ფასების ცხრილი

#	დასახელება	მომსახურება	მასალების მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	დივანი 1 სამადგილიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	600	600
2	დივანი 1 სამადგილიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	580	580
3	დივანი 1 სამადგილიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	650	650
4	დივანი 1 ორადგილიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	450	450
5	დივანი 1 ორადგილიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	450	450
6	დივანი 1 სამადგილიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა. (საზურგისა კარკასის გარეშე)	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	80	80
7	სავარძელი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ზედაპირის მასალა - ალკანტარა, ფერი შეთანხმებით;	1	250	250
8	სავარძელი გორგოლაჭებიანი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ტყავის შემცვლელი და ალკანტარას მასალით დამუშავება (კომბინირებულად)	3	180	540
9	ტყავის შავი სავარძელი	დამუშავება რესტავრავია სრულად აღდგენა	ტყავის შემცვლელი მასალით დამუშავება	5	200	1000
სულ ღირებულება: 4600						